სსიპ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ.50/18

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დადგენის მიზნით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა
CPV - 79300000

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის -2
2. ტექნიკური დავალება ---------- 3
3. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი ---------- 6
4. დანართი №1 ---- ---------- 10
5. დანართი №2 ---------- 11

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა).
2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
4. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
6. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18, პირველი სართული ოთახი №2, გრიგოლ სულუხია ტელ: 399669, ელ.ფოსტა: gsulukhia@gncc.ge

ტექნიკური მოთხოვნები:

კვლევის მიზანი:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის შესაბამისად, კომისია „რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს და აქვეყნებს რადიოსამაუწყებლო სიხშირეთა გეგმას ლიცენზიის მაძიებლებისათვის, ხოლო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე – რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს.
საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზანია სათემო და კერძო მაუწყებლობის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის და საზოგადოების მოთხოვნის დადგენა, რის საფუძველზეც მომდევნო ორი წლის განმავლობაში კომისიის მიერ უნდა განხორციელდეს რადიოსამაუწყებლო ლიცენზიების გაცემის უზრუნველყოფა.
რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის გარდა, კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს იმ საკითხის დადგენა, თუ რომელი პლატფორმებით და რა ტექნიკური საშუალებებით უყურებს ქვეყნის მოსახელობა ტელევიზიას.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:
„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრს №10 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 1 აპრილის №2 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულ სამაუწყებლო ზონებში (Geo 261, Geo 259, Geo 257, Geo 258, Geo 256, Geo 255, Geo 253, Geo 252, Geo 250,ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები დანართი № 3) საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარება და რესპოდენტთა აზრის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით მიმწოდებლის მიერ შედგენილი კითხვარი/კითხვარები საველე სამუშოების დაწყებამდე წარმოდგენილ უნდა იქნას შემსყიდველთან, შესათანხმებლად.

გამოკითხვის დასრულებული ანალიზის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს თითოეულ ზემოაღნიშნულ სამაუწყებლო ზონაზე განცალკევებულად და ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნული მაუწყებლობისთვის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).
საზოგადოებრივ აზრის კვლევაში ასახული უნდა იყოს:

1) საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა სათემო რადიოუწყებლობაზე და საზოგადოების იმ ნაწილთა განსაზღვრა რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სათემო რადიო მაუწყებლობა;

2) საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო სპეციალიზებული რადიო მაუწყებლობის თემატიკისადმი;

3) საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე;

4) რა თემატიკის გადაცემებს ენიჭება უპირატესობა რადიოს მოსმენის დროს;

5) რა თემატიკის გადაცემების დეფიციტს განიცდის ქართული რადიოსადგურები;

6) რომელი რადიომაუწყებლობის დამატების საჭიროებაა ქართულ რადიო სივრცეში: სათემო, სპეციალიზებული თუ საერთო რადიომაუწყებლობის. სპეციალუზებულის შემთხვევაში უნდა მოხდეს დაკონკრეტება თუ რა თემატიკის სპეციალიზებული რადიო მაუწყებლობის დამატების საჭიროება არსებობს.

<u>შემდეგი პუნქტი კვლევის შედეგებში უნდა გამოიყოს ცალკე და ცალკე დოკუმენტად გაკეთდეს:</u>

7) გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან ერთად, უნდა განხორციელდეს სოციოლოგიური კვლევა და შესწავლილ იქნას ტელესამაუწყებლო ბაზარიც. კერძოდ, კვლევის შედეგებით უნდა გამოიკვეთოს თუ რომელი პლატფორმებითა და რა ტექნიკური საშუალებებით უყურებს ქვეყნის მოსახელობა ტელევიზიას (საეთერო, კაბელი, თანამგზავრი, ინტერნეტი. ტელევიზიის კაბელით ყურების შემთხვევაში დასაზუსტებელია, თუ რომელი ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მეშვეობით უყურებს მომხმარებელი ტელევიზიას და თანამგზავრით ყურების შემთხვევაში დასაზუსტებელია თანამგზავრის დასახელება).

კვლევის სეგმენტი:
საქართველოს მოსახლეობა (საქართველოს მოქალაქეები);

თვისებრივი კვლევა:
თვისებრივი კომპონენტი - მინიმუმ 4 (ოთხი) ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის საფუძველზე კითხვარის დამუშავება და შედგენა.

რაოდენობრივი კვლევა:
1. საქარველოს მასშტაბით 2 700 (ორი ათას შვიდასი) რესპოდენტის პირისპირ ინტერვიუს საშუალებით გამოკითხვა;
2. 9 (ცხრა) სამაუწყებლო ზონიდან თითოეულ ზონაში პირისპირ ინტერვიუს საშუალებით ტელე და რადიო მაუწყებლობის პრიორიტეტების დასადგენად გამოკითხულთა რაოდენობა უნდა იყოს 300 (სამასი) რესპოდენტი.

კვლევის შედეგების ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 6%-ს ზონების მიხედვით და 3%-ს საქართველოს მთელი ტერიტორიის მიხედვით.

გამოცდილება:
ა) სოციოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი პირი:
სოციოლოგიური კვლევების ხელმძღვანელობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
ბ) პრეტენდენტის სოციოლოგიური კვლევების მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება

გ) პრეტენდენტის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ფართომასშტაბიანი კვლევის ყოველწლიურად განხორციელების გამოცდილება - ყოველ წელიწადში მინიმუმ 1 (საქართველოს მასშტაბით 2000 და მეტი ინტერვიუ);
დ) სოციოლოგიური კვლევის სტატისტიკოსი:
კვლევების დამუშავების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;

მომსახურების გაწევის პირობები:

მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) კვირის განმავლობაში.

სატენდერო წინადადების ფასი:

სატენდერო წინადადებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მითითებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;
სატენდერო წინადადებიბს ფასი მითითებული უნდა იყოს ლარში;

ანგარიშწორების პირობები:
ანგარიშსრორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 15 სამუშაო დღეში კომისიის ბიუჯეტიდან.
წინასწარ ანგარიშსწორება არ განიხილება.

პრეტენდეტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად ასატვირთი ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი 2–ის მიხედვით;
გ) ინფორმაცია სოციოლოგიური კვლევის ხელმძღვანელზე, სოციოლოგიური კვლევების ხელმძღვანელობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების შესახებ;
დ) ინფორმაცია პრეტენდენტის სოციალური კვლევების მიმართულებით მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების შესახებ;
ე) ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მინიმუმ 1 ფართო მასშტაბიანი გამოკითხვის განხორციელების (ჯამში 2000 და მეტი ინტერვიუ) შესახებ;
დ) ინფორმაცია სტატისტიკოსზე კვლევების დამუშავების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების შესახებ;

შენიშვნა:

პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტენატიული სატენდერო წინადადება და ასევე წინამდებარე შესყიდვის განხორციელებისას დაუშვებელია სუბკონტრაქტორის მონაწილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 2015წელი
ერთის მხრივ სსიპ ---------- (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ——————— —— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ——————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დადგენის მიზნით საზოგადოებრივი კვლევის შესყიდვა

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა ----------

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————————.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს.

3.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საკუთარი სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში ----------

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების სრულად განხორციელების შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. მომსახურების გაწევა დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. ----------

6.2. მომსახურების გაწევა უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 კვირის განმავლობაში

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) არ განახორციელოს სოციოლოგიურიკვლევის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის (ტესტირების შედეგები, ტესტირების მასალები და ა.შ.) გასხვისება მესამე პირზე და /ან გამოქვეყნება კომისიის თანხმობის გარეშე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს განესაზღვრება გონივრული ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობას.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა
11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან
და მოქმედებს ----------

შემსყიდველი:
სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მიმწოდებელი:

დანართი 1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება

ხელმძღვანელის სახელი და გვარი

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი

ელექტრონული მისამართი

ბანკის დასახელება და კოდი

ანგარიშსწორების ანგარიში

საიდენტიფიკაციო კოდი

ხელმოწერა _____

ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი 2

მომსახურების განფასება (ფასების ცხრილი)

№	მომსახურება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	საერთო ღირებულება (გადასახადების ჩათვლით)
1	თვისობრივი კომპონენტი - 2 ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა, კითხვარის დამუშავება და შედგენა				
2	რაოდენობრივი კვლევა 2700 რესპოდენტის პირისპირ ინტერვიუს საშუალებით გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით				
3	----------				

საერთო ღირებულება გადასახადების ჩათლით _____ ლარი.

პრეტენდენტის

ხელმოწერა _____

ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

თარიღი: